ხელშეკრულება № 01/253

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ

ქ. ახალციხე 27 სექტემბერი 2019 წელი

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი, შემდგომში „დამკვეთი“ ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „თამარ გვირჯიშვილი", ს.კ. 47001032344, შემდგომში „შემსრულებელი“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ონომასტიკაში რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართება 2019 წლის 28-29 სექტემბერს, საკვები პროდუქტების შესყიდვა. cpv კოდი: 15811200

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ობიექტი: საკვები პროდუქტები
ხაჭაპური – 15 ცალი X 6,00 ლარი = 90,00 ლარი
ლობიანი – 15 ცალი X 5,00 ლარი = 75,00 ლარი
2.2 შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება შეადგენს 165,00 (ასსამოცდახუთი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2019 წლის 28-29 სექტემბერი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით „დამკვეთსა“ და „შემსრულებელს“ შორის.

5. ანგარიშსწორების ფორმა

„შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით. შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ იღებენ ურთიერთვალდებულებებს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" სრული დაცვით.

6.2 „დამკვეთს“ უფლება აქვს:

ა. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

ბ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3 „დამკვეთი" ვალდებულია:

ა. საქმის კურსში ჩააყენოს „შემსრულებელი" ფორსმაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს „შემსრულებელს" შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.4 „შემსრულებელს" უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს „დამკვეთისაგან" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ. დააყენოს „დამკვეთის" პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.5 „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს „დამკვეთს" მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსში ჩააყენოს „დამკვეთი" ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 თუ „შემსრულებელი" არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, „დამკვეთი" აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „დამკვეთს" უფლება აქვს „შემსრულებელთან" წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

7.2 თუ „დამკვეთი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, „შემსრულებელს" უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არა არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველ (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა: ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

9.2 ხელშეკრულებების პიროებების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ-ერთი მხარის ინტერესები.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეებს შორის წამოჭრილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში - კანონოთ გათვალისწინებული წესით.

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლის პირობები

11.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ ეტაპზე;

11.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი;

11.3 მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირია ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი სპეციალისტი ნანი გოგოლაძე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 27 სექტემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

13. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები.

„დამკვეთი":	„შემსრულებელი":
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინდ. მეწარმე: „თამარ გვირჯიშვილი"
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. №
ს/კ 424066977	ს/კ: №47001032344
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
სახაზინო კოდი: 32 04 06 16	ა/ა №GE62TB7750545061600010
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი: როინ თათეშვილი	ი/მ: თამარ გვირჯიშვილი
---	---
ვიზირებულია – იურისტი: მ/შ: თამარ ხოსიტაშვილი	

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
STATE UNIVERSITY
424066977